საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგმაჩაძე გულადი ჯემალის ძე

გოგმაჩაძე გულადი ჯემალის ძე (დ. 17. II. 1962, სოფ. გვარა, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი), აგროინჟინერი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2005).

1987 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი, 1987–92 მუშაობდა ქობულეთის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, ეწეოდა სამეცნ.- პედ. მოღვაწეობას ბათუმის სახელმწ. უნ-ტის ბიოლოგიის ფაკ-ტზე; 1993–99 მუშაობდა კომერციულ სტრუქტურებში. 2000-იდან იყო რუს. ფედერ. სახელმწ. დუმის ექსპერტი სურსათის უსაფრთხოების საკითხებში. 2002-იდან სახელმწ. ფედერ. უნიტარული საწარმოს – „სრულიად რუსეთის ინფორმატიზაციის, აგრონომიისა და ეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის" გენ. დირექტორია. 2004-იდან მოღვაწეობს მ. ლომონოსოვის სახ. მოსკ. სახელმწ. უნ-ტის ნიადაგმცოდნეობის ფაკ-ტზე.

გ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა: სიმინდის მოყვანის ტექნოლ. შემუშავება საქართვ. ტყის მურა და მდელო-ჭაობის ნიადაგებზე, გამოკვლევები სას.-სამ. სავარგულების ეკოლ. მდგომარეობის აგრომონიტორინგის პრობლემებზე, ადაპტურლანდშაფტური მიწათმოქმედების ბიოლოგიზაციის მოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერებასა და სხვადასხვა აგროფიტოცენოზებზე, მიწის ნაყოფიერების შეფასების ახ. მეთოდების დანერგვა. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. 5 მონოგრაფია). გ. შეყვანილია ენციკლოპედიაში „რუსეთის თვალსაჩინო მოღვაწეები" (2007).

თხზ.: Возделывание кукурузы в Аджарии, Батуми, 1997; Агроэкологический мониторинг почв и земельных ресурсов Российской Федерации, М., 2010.